საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №-01-02/259

ქ. ბათუმი 28 ---- ოქტომბერი, 2022 წ.

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის N06-01/80 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2022 წლის 20 ოქტომბრის MES 1 22 0001331437 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს 03 ოქტომბრიდან 01 ნოემბრის ჩათვლით.
2. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის N06-01/80 დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით (დანართი N1).
3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
4. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა.
5. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის -------28------- ოქტომბრის

N ---01-02/259--- ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) **2022-2023 სასწავლო წელს** წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2022 წლის 17 ოქტომბერს** და დასრულდეს **2023 წლის 04 თებერვალს.**

ბ) 2022 - 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2022 წლის 01 ნოემბერს;

დ) საშობაო არდადეგები - 2022 წლის 31 დეკემბერიდან 2023 წლის 08 იანვრის ჩათვლით;

ე) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 06 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 27 თებერვლიდან 2023 წლის 04 მარტის ჩათვლით.

1.2. გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 20 მარტს** და დასრულდეს **2023 წლის 01 ივლისს.**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 06 მარტს და დასრულდეს 2023 წლის 18 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 03 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 24 ივლისიდან 2023 წლის 29 ივლისის ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2023 წლის 20 სექტემბრამდე.